პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 29 (262) 20 ოქტომბერი 1964 წელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### ნაწილი I

#### განყოფილება პირველი

489. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ვ. მარტინოვის სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

#### განყოფილება მეორე

490. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გერმანელ მოქალაქე ფრიც შმენკელისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.
491. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ნ. პ. ბაჟანის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
492. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ტუვის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
493. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ვ. სავინის „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოების შესახებ.
494. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ პ. კ. იგნატოვის „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოების შესახებ.
495. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ მ. ა. გერასიმოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
496. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ესტონეთის სსრ სახალხო მხატვრის ი. ი. ენზენის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
497. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ დ. ი. ერიომინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

#### განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ნ. გ. იგნატოვს რწმუნების სიგელები გადასცა უგანდის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ი. ა. ენგურმა.
ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარი ცვლილებების შესახებ.
ცნობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაწილი II

## განყოფილება პირველი

498. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

499. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მოქალაქეთა პირადი საკუთრების პირუტყვის ნორმების შესახებ.

## განყოფილება მეორე

500. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

501. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. პ. ბაქანისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

502. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით საქართველოში უკრაინული ლიტერატურის დეკადის მონაწილეთა დაჯილდოების შესახებ.

503. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. გ. იოსელიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაწილი I

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**489** **ამხ. ნ. ვ. მარტინოვის სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ნიკოლოზ ვასილის ძე **მარტინოვი** დაინიშნოს სსრ კავშირის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 12 ოქტომბერი.

№ 2914-VI.

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**490** **გერმანელ მოქალაქე ფრიც შმენკელისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ**

ანტიფაშისტურ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობისათვის, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ფრონტებზე ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის გერმანელ მოქალაქეს ფრიც **შმენკელს** მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება (სიკვდილშემდგომ).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 6 ოქტომბერი.

№ 2902-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**491** **მწერალ ნ. პ. ბაჟანის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მწერალი ნიკოლოზ პლატონის ძე **ბაჟანი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 8 ოქტომბერი.

**№ 2904-VI.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 492 ტუვის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მოპოვებული წარმატებებისათვის და ტუვის ასსრ 20 წლისთავთან დაკავშირებით **ტუვის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ა. მიქოიანი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 9 ოქტომბერი.

№ 2905-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 493 ამხ. ა. ვ. სავინის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით კოსტრომის მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სასოფლო) საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ანატოლ ვასილის ძე **სავინი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ა. მიქოიანი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 10 ოქტომბერი.

№ 2906-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 494 მწერალ პ. კ. იგნატოვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი პეტრე კარპის ძე **იგნატოვი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ა. მიქოიანი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 10 ოქტომბერი.

№ 2907-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 495 პროფესორ მ. ა. გერასიმოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

იმისათვის, რომ დიდი დამსახურება მიუძღვის როგორც მეცნიერ-პედაგოგ მოღვაწეს მევენახეობის დარგში, დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით მოსკოვის კვების მრეწველობის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მევენახეობის კათედრის გამგე, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მიხეილ ალექსანდრეს ძე გერასიმოვი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 10 ოქტომბერი.
№ 2909-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 496 ესტონეთის სსრ სახალხო მხატვრის ი. ი. ენზენის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახვითი ხელოვნების დარგში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ესტონეთის სსრ სახალხო მხატვარი იაან იურის ძე ენზენი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 12 ოქტომბერი.
№ 2910-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 497 მწერალ დ. ი. ერიომინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მწერალი დიმიტრი ივანეს ძე ერიომინი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 12 ოქტომბერი.
№ 2911-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მესამე

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ნ. გ. იგნატოვს რწმუნების სიგელები გადასცა უგანდის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ი. ა. ენგურმა.

9 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. გ. იგნატოვმა კრემლში მიიღო უგანდის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იოკოსაფატი ატოკი ენგური, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს ახლდნენ საელჩოს მეორე მდივანი ე. კ. ვაპენიი და ატაშე ს. მუსოკე.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. ა. მალიკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეები თ. თ. მოლოჩკოვი და დ. პ. პოჟიდაევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო კავშირურთიერთობის განყოფილების გამგის მოადგილე ა. ლ. ზორინი და სხვა ოფიციალური პირები.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ნ. გ. იგნატოვსა და ი. ა. ენგურს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მ. პ. გიორგაძემ და ი. ა. მალიკმა.

## ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარი ცვლილებების შესახებ

### რ ს ფ ს რ

**პონაზირიოვოს სამრეწველო რაიონის შექმნა**

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1964 წლის 6 ნოემბრის ბრძანებულებით კოსტრომის ოლქში შექმნა პონაზირიოვოს სამრეწველო რაიონი, რომლის ცენტრია მუშათა ახალშენი პონაზირიოვო.

პონაზირიოვოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (სამრეწველო) საბჭო ექვემდებარება კოსტრომის მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამრეწველო) საბჭოს.

## ც ნ ო ბ ა

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნების შესახებ

1964 წლის 27 სექტემბერს გაიმართა კავშირის საბჭოს დეპუტატის არჩევნები ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ გროზნოს № 434 საარჩევნო ოლქში.

კავშირის საბჭოს დეპუტატად არჩეულია ამხ. ალექსი ალექსანდრეს ძე **ვოლოშინი**, დაბადებული 1922 წელს, სკკპ წევრი, გროზნოს ნავთობის ზეთის **ქარხნის უფროსი ოპერატორი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაწილი II

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 498 საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„სსრ კავშირის ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 5 მაისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს 1929 წლის 3 აპრილის დადგენილება „ახალ სპეციალისტთა მომზადებისა, განაწილებისა და გამოყენების შესახებ". (საქართველოს სსრ კან. კრ., 1929 წ. № 11, მუხ. 80).

2. საქართველოს სსრ ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს 1929 წლის 26 ივნისის დადგენილება „სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებისათვის მათ მიერ იჯარით აღებული ან მათ ფაქტიურ სარგებლობაში მყოფი სახელმწიფო საადგილმამულო ქონებისა და აგრეთვე იმავე კოლექტივების ტერიტორიაზე მდებარე სამრეწველო და დამხმარე საწარმოთა გადაცემის შესახებ". (საქ. სსრ კან. კრ., 1929 წ., № 15, მუხ. 157).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1964 წლის 28 სექტემბერი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 499 მოქალაქეთა პირადი საკუთრების პირუტყვის ნორმების შესახებ

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 25 მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა მოქალაქეს (იმ ადგილებში, სადაც აკრძალული არ არის პირუტყვის ყოლა) შეუძლია იყოლიოს პირუტყვი პირად საკუთრებად ერთ ოჯახში:

ერთი ძროხა (ფურკამეჩი) 1 წლამდე ნამატით, ან ერთი თხა 6 თვემდე ნამატით, ან სამი ცხვარი 6 თვემდე ნამატით, გარდა ამისა, ერთი გასასუქებელი ღორი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მეურნეობების მუშებსა და მოსამსახურეებს — ერთი ძროხა (ფურკამეჩი) 1 წლამდე ნამატით, ან ერთი თხა 1 წლამდე ნამატით, ან სამი ცხვარი 6 თვემდე ნამატით, გარდა ამისა, ერთი ღორი 2 თვემდე ნამატით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: კოლმეურნეობის წევრებისათვის პირად საკუთრებად პირუტყვის ყოლის ნორმებს განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება.

2. უფლება მიენიჭოთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ცალკეულ შემთხვევებში, გამონაკლისის სახით, ნება დართონ მოქალაქეებს იყოლიონ სოფელში პირად საკუთრებად ერთი ცხენი.

3. ის პირები, რომლებიც აღრიცხვის დროს გადამალავენ პირუტყვს და რომელთაც ჰყავთ ამ ბრძანებულებით დაწესებულ ნორმაზე მეტი პირუტყვი, დაჯარიმდებიან 50 მანეთამდე მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ადმინისტრაციული კომისიის დადგენილებით.

4. ეს ბრძანებულება ძალაში შედის 1965 წლის 1 იანვრიდან.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაადგინოს ამ ბრძანებულების გამოყენების წესი.

6. ძალადაკარგულად ჩაითვალოს: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 18 იანვრის ბრძანებულება „ქალაქებსა და დაბებში მცხოვრებ მოქალაქეთა (გარდა კოლმეურნეებისა) პირადი საკუთრების პირუტყვისა და ფუტკრის ოჯახის ზღვრული ოდენობის დაწესების შესახებ“ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 27 მარტის დადგენილება „ქალაქებსა და დაბებში მცხოვრებ მოქალაქეთა (გარდა კოლმეურნეებისა) პირადი საკუთრების პირუტყვისა და ფუტკრის ოჯახის ზღვრული ოდენობის დაწესების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 18 იანვრის ბრძანებულების შეფარდების თაობაზე“.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1964 წლის 28 სექტემბერი.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 500 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოებულ იქნან მედლით — „ხანძარზე მამაცობისათვის“:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ნანო კონსტანტინეს ასული აჭარაძე — ზნაურის რაისაავადმყოფოს სანიტარი.

2. ლიანა იასონის ასული გვილავა — გეგეჭკორის პირველი საშუალო სკოლის III კლასის მოსწავლე.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1964 წლის 28 სექტემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 501 ამხ. ნ. პ. ბაჟანისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებების უკრაინულ ენაზე თარგმნისა და მათი პოპულარიზაციის საქმეში დიდი დამსახურებისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით უკრაინელ მწერალს ნიკოლოზ პლატონის ძე **ბაჟანს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1964 წლის 8 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 502 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით საქართველოში უკრაინული ლიტერატურის დეკადის მონაწილეთა დაჯილდოების შესახებ

საქართველოში უკრაინული ლიტერატურის დეკადის წარმატებით ჩატარებისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. ალექსანდრე ტერენტის ძე **გონჩარი.**
2. ივანე თევდორეს ძე **დრაჩი.**
3. ივანე ანიკეს ძე **ვირგანი.**
4. იური (გრიგოლ) ოლიფერის ძე **ზბანაცკი.**
5. პავლე არქიპოს ძე **ზაგრებელნი.**
6. ნიკოლოზ იაკობის ძე **ზარუდნი.**
7. პეტრე თევდორეს ძე **ივანოვი.**
8. ალექსანდრე ვასილის ძე **იურენკო.**
9. იგორ პეტრეს ძე **კაზიმიროვი.**
10. ვასილ პავლეს ძე **კოზაჩენკო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. ლიუბიმ ალექსანდრეს ძე **კოპილენკო.**
12. ვიტალი ალექსის ძე **კოროტიჩი.**
13. დიმიტრი მიხეილის ძე **კოსარიკი.**
14. ლეონიდე ნიკოლოზის ძე **ნოვიჩენკო.**
15. დიმიტრი ვასილის ძე **პავლიჩკო.**
16. ვადიმ ნიკოლოზის ძე **სობკო.**
17. მიხეილ ათანასეს ძე **სტელმახი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი. 1964 წლის 8 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 503 ამხ. დ. გ. იოსელიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგე, პროფესორი დავით გიორგის ძე **იოსელიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი. 1964 წლის 12 ოქტომბერი.

## განყოფილება მესამე

## საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1964 წლის 28 სექტემბრის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დააჯილდოვა 313 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისიდან | . . . . . . . . . . . . . | 29 |
| ახალციხის | რაიონიდან . . . . . . . . . | 11 |
| ზესტაფონის | „ . . . . . . . . . | 7 |
| ზუგდიდის | „ . . . . . . . . . | 72 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | |
|---|---|---|---|
| თეთრიწყაროს | „ | . . . . . . . . | 52 |
| თიანეთის | „ | . . . . . . . . | 10 |
| ლანჩხუთის | „ | . . . . . . . . | 4 |
| მახარაძის | „ | . . . . . . . . | 11 |
| მცხეთის | „ | . . . . . . . . | 35 |
| საჩხერის | „ | . . . . . . . . | 39 |
| **სამხრეთ ოსეთის ა/ო** | „ | . . . . . . . . | 43 |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „იზვესტია"
მოსკოვი, ცენტრი, პუშკინის მოედანი, 5

დაიწყო ხელმოწერა

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებზე 1965 წლისათვის

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში"

ქვეყნდება:

პირველ განყოფილებაში — სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნორმატიული ხასიათის ბრძანებულებები და დადგენილებები; სსრ კავშირის მიერ უცხო სახელმწიფოებთან დადებული და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ რატიფიცირებული ხელშეკრულებები, შეთანხმებები და კონვენციები;

მეორე განყოფილებაში — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები საბჭოთა კავშირის გმირისა და სოციალისტური შრომის გმირის წოდებათა, საპატიო წოდებათა მინიჭების და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ;

მესამე განყოფილებაში — მოკლე ცნობები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პალატების, მათი მუდმივი კომისიების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ, ინფორმაცია საპარლამენტთაშორისო კავშირის სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მოღვაწეობის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებისა და გაწვევის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისათვის უცხო სახელმწიფოთა ელჩების მიერ რწმუნების სიგელების გადაცემის შესახებ, ცნობები მოკავშირე რესპუბლიკების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ და სხვა.

## „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები"

გამოდის კვირაში ერთჯერ.

ხელმოწერის ფასი:

12 თვით — 4 მანეთი და 80 კაპ.
6 თვით — 2 მანეთი და 40 კაპ.
3 თვით — 1 მანეთი და 20 კაპ.
ხელმოწერა მიიღება ყოველ მომდევნო თვიდან.

ხელმოწერას მიიღებს:

„სოიუზპეჩატის" საქალაქო და რაიონული განყოფილებები, კავშირგაბმულობის კონტორები, განყოფილებები და სააგენტოები, ფოსტალიონები, აგრეთვე რწმუნებულები, რომელთაც ფაბრიკებში, ქარხნებში, მშენებლობებზე, შახტებში, რკინიგზის ტრანსპორტზე, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, სასწავლებლებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ხელმოწერის მიღების უფლება აქვთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მიმდინარეობს ხელმოწერა

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებებზე 1965 წლისათვის

### „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ ქვეყნდება:

**პირველ ნაწილში (ქართულ ენაზე):**

ა) სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნორმატიული ხასიათის ბრძანებულებები და დადგენილებები, აგრეთვე სხვა დოკუმენტები;

ბ) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები საბჭოთა კავშირის გმირისა და სოციალისტური შრომის გმირის წოდებათა, საპატიო წოდებათა მინიჭების და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ;

გ) მოკლე ცნობები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პალატების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ, ინფორმაცია საპარლამენტთაშორისო კავშირის სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მოღვაწეობის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებისა და გაწვევის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისათვის უცხო სახელმწიფოთა ელჩების მიერ რწმუნების სიგელების გადაცემის შესახებ, ცნობები მოკავშირე რესპუბლიკების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ და სხვ.

**მეორე ნაწილში (ქართულ და რუსულ ენებზე):**

ა) საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნორმატიული ხასიათის ბრძანებულებები და დადგენილებები;

ბ) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ;

გ) ინფორმაცია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მისი მუდმივი კომისიების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებისა და გაწვევის შესახებ, რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ და სხვ.

## „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“

### გამოდის თვეში სამჯერ ქართულ და რუსულ ენებზე.

**ხელმოწერის ფასია:**

12 თვით — 2 მანეთი და 50 კაპ.
6 თვით — 1 მანეთი და 25 კაპ.

**ხელმოწერას მიიღებს:**

„სოიუზპეჩატი“, კავშირგაბმულობის განყოფილებები; კონტორები, სააგენტოები, ფოსტალიონები, აგრეთვე რწმუნებულები, რომელთაც ხელმოწერის მიღების უფლება აქვთ.